

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

გაეროს კრიმინალის და სამართლის რეგიონალთაშორისი კვლევითი ინსტიტუტსა (შემდგომში მოხსენიებული როგორც **გაეროს კსრკი** -UNICRI) განთავსებული მისამართზე ვიელა მასტრი დელ ლავორო 10, 10127, ტურინი, იტალია

და

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს (შემდგომში მოხსენიებული როგორც **დკსჯეც**-ი) განთავსებული მ. ასათიანის ქ. 9, 0177, თბილისი, საქართველო შორის

(შემდგომში ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის მონაწილე “**მხარეები**”)

იმის გათვალისწინებით, რომ **გაეროს კსრკი** არის გაეროს ორგანიზაცია, რომლის მანდატია, დაეხმაროს სახელმწიფოებს, მთავრობათაშორის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს პოლიტიკის განვითარების ფორმულირებასა და განხორციელებაში, კრიმინალის პრევენციისა და კრიმინალური სამართლის სფეროში;

იმის გათვალისწინებით, რომ **გაეროს კსრკი**-ს მოქმედებს ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, განახორციელოს პროექტი სახელწოდებით “ბიოლოგიური უსაფრთხოების და ბიოლოგიური დაცვის შესაძლებლობების გაძლიერება სამხრეთ კავკასიისა და სამხრეთ აზიის ქვეყნებში”, (შემდგომში მოხსენიებული როგორც “**ხელშეკრულება**”) დაგეგმილი პროგრამის კონტრაქტის “IFS/2011/273-572” ქვეშ;

იმის გათვალისწინებით, რომ **გაეროს კსრკი** და **დკსჯეც**-ი გამოთქვამენ სურვილს, ითანამშრომლონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიების შემუშავებასა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში, რომელიც წარმოდგენილია ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის დანართი “ა”-ს სახით

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

პუნქტი 1. ურთერთშეთანხმების მემორანდუმის მიზანი

1.1. ურთერთშეთანხმების მემორანდუმის ფარგლებში (შემდგომში მოხსენიებული როგორც “უშმ”) გაეროს კსრკი და დკსჯეც-ი ითანამშრომლონ პროექტის განხორციელების მიზნით, რომელიც მოცემულია ხელშეკრულების დანართში “ა” (შემდგომში მოხსენიებული როგორც “პროექტი”) ხელშეკრულებისა და წარმოდგენილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის უზრუნველყოფის შესაბამისად.

პარაგრაფი 2. მხარეთა ძირითადი პასუხისმგებლობები

2.1 მხარეები განახორციელებენ პროექტს გულმოდგინედ და ეფექტურად.

2.2 მხარეები რეგულარულად მიაწვდიან ინფორმაციას და ურთიერთს გაუწევენ კონსულტაციას პროექტის მიმდინარეობისას. დკსჯეც-ი, სხვა ღონისძიებებს შორის, მოქმედებს გაეროს კსრკი-ს მიერ მოწოდებული ინსტრუქციების შესაბამისად, როგორცაა ძირითადი ქმედებების და ფინანსური ანგარიშების სახელმძღვანელო წესები.

2.3 პროექტის ყველა ანგარიში და ჩანაწერი, გათვალისწინებული უშმ-ის ფარგლებში, ხელმისაწვდომი იქნება მხარეებისთვის.

2.4 მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ მათი პერსონალი შეესაბამება კვალიფიკაციის, ტექნიკური და პროფესიონალურ კომპეტენციის მაღალი სტანდარტებს, რაც საჭიროა უშმ-ით გათვალისწინებული პროექტის წარმატებით შესრულებისათვის.

პარაგრაფი 3. პროექტის განხორციელების დაფინანსების წყარო

3.1 გაეროს კსრკი პროექტის განხორციელებისათვის უზრუნველყოფს შემდეგ ფინანსურ დახმარებას (შემდგომში მოხსენიებული როგორც “დახმარება/კონტრიბუცია”) 540 457.00 ევრო

პარაგრაფი 4. ფინანსური და სამოქმედო ღონისძიებები

4.1 დახმარება/კონტრიბუცია ტრანსფერს განახორციელებს გაეროს კსრკი, დანართში “ა” წარმოდგენილი პროექტის განსახორციელებლად.

4.2 პროექტის პროგნოზირებული ბიუჯეტის პირველი წლის დაფინანსების 90% **დკსჯეც**-ს გადმოცემა მემორანდუმის ორმხრივი ხელმოწერიდან 45 დღის განმავლობაში წინასწარი დაფინანსების (ავანსის) სახით. დაფინანსების დარჩენილი 10% და მეორე წლის პროგნოზირებული ბიუჯეტის 90% **დკსჯეც**-ს გადმოერიცხება პირველი წლის წლიური ანგარიშის (ღონისძიებათა შესრულების აღწერილობითი და ფინანსური ანგარიშების ჩათვლით) წარდგენიდან 45 დღის განმავლობაში. ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს პირველი წლის წინასწარგამოყოფილი დაფინანსების სულ ცოტა 75%-იანი გახარჯვა. ალტერნატიულად, დაფინანსების მეორე ეტაპი (ტრანში -10% და 90%) შესაძლებელია განხორციელდეს **დკსჯეც**-იდან მოთხოვნის იმ შემთხვევაშიც, თუ იგი წარადგენს პირველი წლის წინასწარგამოყოფილი დაფინანსების 75%-იანი გახარჯვის ფინანსურ ანგარიშს. პროექტის პროგნოზირებული ბიუჯეტის მეორე წლის დაფინანსების დარჩენილი 10 % გამოყოფილი იქნება როგორც მესამე ტრანში და **დკსჯეც**-ს მიეწოდება **გაეროს კსრკი**-ს მხრიდან საბოლოო ანგარიშის (ღონისძიებათა შესრულების აღწერილობითი და ფინანსური ანგარიშები) მიღება/დამტკიცებიდან 45 დღის განმავლობაში. წარდგენილი ანგარიში უნდა შეიცავდეს პროექტის პირველი ორი ფინანსური ტრანშის 75%-იან გახარჯვას ერთად. ნებისმიერი აუთვისებელი თანხა შეინახება **გაეროს კსრკი**-ს მიერ და დაუბრუნდება დონორ ორგანიზაციას.

4.3 ფინანსური დახმარება/კონტრიბუცია, გამოყოფილი **უშმ**-ის ფარგლებში, განხორციელდება ქვემოთ მოყვანილ საბანკო ანგარიშზე:

მიმღები ბანკი: სს „თი-ბი-სი“ ბანკი

საბანკო ანგარიშის სახელი: „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“

ანგარიშის ნომერი: GE70TB0632634180100001

BIC: TBCBGE22

IBAN-ის კოდი: GE70TB0632634180100001

მიმღები ბანკი მისამართი: ც. დადიანის ქ. 34, თბილისი, 0180, საქართველო

პარაგრაფი 5. გადაწყვეტილებები და მართვა

5.1 ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება **უშმ**-ით გათვალისწინებულ საქმეს და პირდაპირი გავლენა აქვს პროექტის წარმატებით განხორციელებაზე, უნდა მიიღოს და შეასრულოს **დკსჯეც**-მა. ამისათვის, **დკსჯეც**-ი ვალდებულია იღებს **გაეროს კსრკი**-ს რეგულარულ ინფორმირებულობაზე ამ ტიპის გადაწყვეტილებების შესახებ და ყველა შესაბამისი ინფორმაცია გაზიარებულ იქნება **გაეროს კსრკი**-სთან.

5.2 პროექტის ყოველდღიური საქმიანობის მართვას განახორციელებს **დესჯეც-ი**, რაზეც იქნება იგი ანგარიშვალდებული. **დესჯეც-ი** იღებს პასუხისმგებლობას პროექტით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელებაზე, რომელიც მოიცავს:

- ა) ფინანსური დახმარების/კონტრიბუციის ბუღალტრულ აღრიცხვა/წარმოებასა და მართვას.
- ბ) დაგეგმვასა და კოორდინაციას.

პარაგრაფი 6. ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური შემოწმება

6.1 გაეროს კსრკი-ს მიერ მოწოდებული ფინანსური დახმარება/კონტრიბუცია ექვემდებარება გაეროს ფინანსურ წესებსა და რეგულაციებს და ხელშეკრულებას “IFS/2011/273-572” შემოღებულს ევროკომისიის ფარგლებში.

6.2 დესჯეც-ის მიერ მიღებული ფინანსური დახმარება/კონტრიბუცია, რომელიც პროექტის განსახორციელებლად არის გამოყოფილი, არ შეიძლება დაიბეგროს და არ შეიძლება პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის პერსონალზე გაიცეს ხელფასის სახით. თუმცა, ფიქსირებული ანაზღაურება (პროექტის მთლიანი ღირებულების არა უმეტეს 5%-ისა), შესაძლებელია განკარგოს **დესჯეც-მა** გაუთვალისწინებელი ხარჯების/ოვერჰედის სახით.

6.3 ნებისმიერი სახის ქვითარი, ჩეკი, ინვოისი და დოკუმენტი, რომელიც პროექტის განხორციელების პროცესში იქმნება, გაცემულ უნდა იქნას **დესჯეც-ის** სახელზე. **დესჯეც-მა** უნდა შეაგროვოს და შეინახოს ხელმისაწვდომი ინფორმაცია და დოკუმენტაცია პროექტის განხორციელების პროგრესზე და ფინანსური დახმარების შესაბამის გამოყენებაზე. დასასრულისთვის, **დესჯეც-მა** ცალკე უნდა აღრიცხოს ბუღალტრული ანგარიში, ჩანაწერებით ნებისმიერი სახის ქვითარისა და დანახარჯის შესახებ, რომელსაც განახორციელებს **უშმ-ით** გათვალისწინებული ფინანსური დახმარების ფარგლებში. ამასთან, ნებისმიერი სახის ფინანსური ვალდებულება და დანახარჯი დოკუმენტირებულად იქნას წარმოდგენილი. ნებისმიერი სახის გადახდაზე გაცემულ უნდა იქნას გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება) პროექტის განხორციელების დეტალებით, თანხის მიმღების სახელის, თანხის როადენობის, მიზნის და გადახდის თარიღის მითითებით. ტრანზაქციისთვის განკუთვნილი ქვითრები, ჩეკები, ინვოისები და სხვა მსგავსი დოკუმენტები უნდა მიეკრას საგადახდო დავალების სარწმუნოობისათვის. ეს საგადახდო დავალება და თანმხლები დოკუმენტები ცალკე უნდა იქნას შენახული და მოთხოვნის შემთხვევაში, გაეროს კსრკი-სთვის ხელმისაწვდომი ანგარიშგების მიზნით.

6.4 უშმ-ის ვადის დასრულების ან შეწყვეტის შემთხვევაში, დკსჯეც-მა აღნიშნული დოკუმენტები და ჩანაწერები უნდა შეინახოს 2 წლის განმავლობაში გაეროს კსრკი-ს შეთანხმების თანახმად.

6.5 ანგარიშგების პერიოდი უშმ-ის შესრულების პერიოდს მოიცავს პარაგრაფი 12-ის შესაბამისად.

6.6 დკსჯეც-მა უნდა უზრუნველყოს მოწვეული/დამოუკიდებელი აუდიტით მომსახურება უშმ-ის მოქმედების დროს და დასრულების შემდეგ, რომელიც მოწვეული იქნება გაეროს კსრკი-სთან შეთანხმებით.

6.7 ზემოაღნიშნულის მიუხედავად, გაეროს კსრკი-ს უფლება აქვს, თავისი ხარჯებით, განახორციელოს აუდიტი ან პროექტის სააღრიცხო წიგნის და ჩანაწერების შემოწმება მოთხოვნის შესაბამისად, და ჰქონდეს ხელმისაწვდომობა პროექტის ბუღალტრულის აღრიცხვის ჟურნალებსა და ჩანაწერებზე საჭიროების შემთხვევაში.

პარაგრაფი 7. ფინანსური ვალდებულებები

7.1 გაეროს კსრკი არ იქნება პასუხისმგებელი მესამე მხარის წინაშე, რომელიც რაიმე სახის მოთხოვნას წამოაყენებს დანართი “ა”-ს პროექტის ფარგლებში.

7.2 დკსჯეც-ი უზრუნველყოფს და აიღებს პასუხისმგებლობას მესამე მხარესთან, მოთხოვნის წამოყენების შემთხვევაში, დაფაროს გარდაცვალების, სხეულის დაზიანების, დანაკარგის ან ქონების დაზიანების საფასური, უშმ-ის ფარგლებში წარმოებული ღონისძიებების განხორციელებისას. დკსჯეც-ი პასუხისმგებლობას იღებს მის კუთვნილებაში არსებული თუ დაქირავებული სახმელეთო, სანაოსნო, საჰაერო ტრანსპორტის და სხვა აღჭურვილობის, ასევე პერსონალის მოხმარება/გამოყენებაზე.

7.3 დკსჯეც-ი დააზღვევს, შეინარჩუნებს და შეინახავს ზიანის გარეშე და დაიცავს თავის ხარჯებით, გაეროს კსრკი-ს, მის ოფიციალურ წარმომადგენლებს, აგენტებს, მომსახურე პერსონალსა და თანამშრომლებს თავისი (ან დკსჯეც-ის პერსონალის) ქმედებით ან შეცდომით წამოჭრილი ნებისმიერი სახის მოთხოვნის, უკმაყოფილების ან ჩივილისაგან. ეს დადგენილება, ამასთან ერთად, გავრცელდება იმ მოთხოვნებსა და პასუხისმგებლობებზე (მუშა-ადამიანის კომპენსაცია, პროდუქტის ვალი და დავალიანება), რომლებიც წამოიჭრება დკსჯეც-ის და მისი პერსონალის რაიმე გამოგონების და ხელსაწყოს დაპატენტების, სხვადასხვა მასალებისა და ინტელექტუალური საკუთრების საავტორო უფლების გამოყენების გარშემო. ამ

პარაგრაფით გათვალისწინებული ვალდებულება ძალადაკარგულად არ განიხილება უშმ-ის ვადის გასვლის ან დასრულების დრომდე.

7.4 **დკსჯეც**-ი სრულად იქნება პასუხისმგებელი ყველა სახის მომსახურებაზე, თავისი პერსონალის გამოყენებით. **დკსჯეც**-ი უზრუნველყოფს შესაბამისი შრომის კანონების გათვალისწინებას, და აქედან გამომდინარე უზრუნველყოფს შესაბამის სამედიცინო და სიცოცხლის დაზღვევას უშმ-ის განხორციელებაზე მომუშავე მისი პერსონალისთვის.

7.5 **გაეროს კსრკი**-ს და **დკსჯეც**-ის პერსონალი არ ჩაითვლება მეორე ორგანიზაციის თანამშრომლად. გარდაცვალების, სხეულის დაზიანების, შრომის უუნარობის, ქონების ზიანის, ან სხვა საფრთხის, რომელიც შესაძლებელია განიცადოს ერთ-ერთი მხარის მომსახურემ, უშმ-ით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შედეგად, არ ჩაითვლება მეორე ორგანიზაციის პასუხისმგებლობად და ვალდებულებას აიღებს **გაეროს კსრკი** ან **დკსჯეც**-ი, როგორც პირდაპირი დამქირავებელი.

7.6 თუ ღონისძიების ფარგლებში, **დკსჯეც**-ის მიერ დაქირავებული ქვე-კონტრაქტორი, არ მოისურვებს ან ვერ შეძლებს უზრუნველყოს საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მიწოდება, პასუხისმგებლობა დაეკისრება **დკსჯეც**-ს, ანაზრაუროს ღონისძიებისთვის საჭირო ხარჯები.

პარაგრაფი 8. აქტივები და საკუთრების უფლება

8.1 თუ არ იარსებებს მხარეთა შორის წერლობითი შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებებზე, რომელიც უკავშირდება პროექტის მიმდინარეობისას ან მის განხორციელების შედეგად მიღებულ ნებისმიერ დოკუმენტს, მასალას ან პროდუქტს, დარჩება **დკსჯეც**-ის განკარგულებაში.

8.2 აღნიშნული დადგენილების მიუხედავად, **დკსჯეც**-ი უფლებას აძლევს **გაეროს კსრკი**-ს 8.1 პარაგრაფით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, მასალის და პროდუქტის უსასყიდლო ხელმისაწვდომობაზე. **გაეროს კსრკი**-ს, ასევე შეუძლია, სათანადოდ გამოიყენოს ამ ტიპის დოკუმენტაცია, მასალა და პროდუქტი იმისათვის, რათა უზრუნველყოს პროექტის განხორციელება უშმ-ის პარაგრაფი 9-ის მიხედვით ვადამდე ადრე დასრულების შემთხვევაში. **გაეროს კსრკი**-ს მიერ 8.1 პარაგრაფით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, მასალის და პროდუქტის გამოყენება არ ჩაითვლება **დკსჯეც**-ის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევად.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს წერილობითი გადაწყვეტილება, რომ აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალება და სხვა დამხმარე საშუალება, რომლითაც გაეროს კსრკი უზრუნველყოფს დესჯეც-ს, ან დესჯეც-ი შეისყიდის ფინანსური დახმარების/კონტრიბუცია ფარგლებში, გადაეცემა დესჯეც-ს უშმ-ით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის შემდეგ.

8.4 ვიდრე წერილობითი თანხმობა არ იქნება მიღებული გაეროს კსრკი-სგან, დესჯეც-ი ვერ გამოიყენებს მის სახელს და/ან ემბლემას. გაეროს კსრკი-ს სახელის და/ან ემბლემის გამოყენებაზე დესჯეც-მა უნდა მიიღოს თანხმობა იმ ნებისმიერი დოკუმენტის, მასალის და პროდუქტის გამოქვეყნების შემთხვევაში, რომელიც მითითებულია პარაგრაფში 8.1. ასეთი სახის წერილობითი თანხმობა შეიძლება გასცეს გაეროს კსრკი-მ დესჯეც-ზე თუ ჩათვლის მისაღებად.

პარაგრაფი 9. უშმ-ის ვადამდე დასრულება

9.1 გაეროს კსრკი და დესჯეც-ი ათვითცნობიერებენ, რომ უშმ-ის მიზნის წარმატებით შესრულებას და დასრულებას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, შესაძლებელია, საჭირო გახდეს უშმ-ის დასრულება, იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომელმაც შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს მიზნის წარმატებით შესრულება ან დასრულება. ეს პუნქტი გამოიყენება ასეთი სახის სიტუაციების შემთხვევაში.

9.2 პარაგრაფი 9.1-ის მოყვანილი სიტუაციის გათვალისწინებით, გაეროს კსრკი ან დესჯეც-ი, რომლისთვისაც ცნობილი ხდება სიტუაცია, წერილობით სწრაფად აცნობებს მეორე მხარეს იმ ვითარების შესახებ, რომელმაც შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს მიზნის წარმატებით შესრულება ან დასრულება. გაეროს კსრკი და დესჯეც-ი ითანამშრომლებენ ამ ტიპის ვითარებების გამოსასწორებლად და აღმოსაფხვრელად, და შესაბამის ძალისხმევას არ დაიშურებენ საბოლოო შედეგამდე მისაყვანად, საჭიროების შემთხვევაში სიტუაციის სწრაფად გამოსასწორებელი ღონისძიებების ჩათვლით. თუ გამოსავლის მიღება შეუძლებელი გახდება, მხარეები ერთობლივად გადაწყვეტენ უშმ-ის დასრულებას მანამ, ვიდრე მიზნი ბოლომდე მიიღწევა.

9.3 გაეროს კსრკი, დამატებით, იტოვებს უფლებას ერთპიროვნულად დაასრულოს უშმ-ი, მისი მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, თუ ის ჩათვლის, რომ დესჯეც-ი აბრკოლებს უშმ-ით გათვალისწინებული პროექტის განხორციელებას და ამით გაეროს კსრკი-ს აკისრებს ვალდებულებებს. ასეთ სიტუაციაში, გაეროს კსრკი შეატყობინებს მეორე მხარეს და მოითხოვს, რომ დესჯეც-მა გამოასწოროს პროექტის განხორციელების შემაფერხებელი

გარემოება 30 დღის განმავლობაში. **დკსჯეც**-ი შეიძლება ჩაითვალოს განხორციელების დამაბრკოლებლად, თუ:

– ვერ განახორციელებს პროექტს წარმოდგენილი **უშმ**-ის შესაბამისობის მიხედვით.

- აღმოჩნდება, რომ მიღებული აქვს არასწორი, თაღლითური, კორუფციული ან სხვა მსგავსი ქმედებები პროექტის განხორციელებისას;
- უარს აცხადებს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო პროცესებზე.

თუ **დკსჯეც**-ი ინარჩუნებს 30 ან მეტი დღის დაყოვნებით მოქმედებს, **გაეროს კსრკი**-ს შეუძლიან გადადგას **უშმ**-ის დასრულებისკენ მიმართული ნაბიჯები.

პარაგრაფი 10. ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის დასრულება

10.1 წარმოდგენილი **უშმ**-ი ჩაითვლება დასრულებულად:

- (ა) როდესაც მისი ძირითადი მიზანი მიღწეულია;
- (ბ) **გაეროს კსრკი**-ს და **დკსჯეც**-ის ორმხრივი გადაწყვეტილებით პარაგრაფი 9.2-ის შესაბამისად
- (გ) **გაეროს კსრკი** ერთპიროვნული გადაწყვეტილებით 9.3-ის შესაბამისად.

10.2 **უშმ**-ის დასრულებაზე **დკსჯეც**-ი, თავის მხრივ, გადადგამს შემდეგ ნაბიჯებს:

- (ა) ფინანსური დახმარების/კონტრიბუციის ლიკვიდაციას;
- (ბ) ყველა სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებას მესამე მხარეებთან, რომელიც **უშმ**-ის მიზნის განხორციელებისათვის იყო დამყარებული;
- (გ) **უშმ**-ის განხორციელების პროცესში აღმოცენებული ნებისმიერი სახის კანონიერი ვალის საკითხის მოგვარება.

10.3 ლიკვიდაციის პროცესის დასრულებისას, დარჩენილი ნაღდი ფულის ნაშთი დაუბრუნდება **გაეროს კსრკი**-ს. **დკსჯეც**-ს არ აქვს უფლება შეინახოს აღნიშნული ნაშთი მოსალოდნელი რაიმე სახის ზარალისთვის, რომელიც შეიძლება დააკისროს ტრიბუნალმა **გაეროს კსრკი**-სა და **დკსჯეც**-ს შორის შესაძლო სადავო საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც წამოჭრილია პარაგრაფში 12.

პარაგრაფი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა.

11.1 თუ უშმ-ის განმახორციელებელი ერთ-ერთი მხარე, უშმ-ით გათვალისწინებული ღონისძიებებს ვერ შეასრულებს, მან წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნული შეცდომის (მარცხის) შესახებ, და მოიწვიოს, რათა შეტყობინებიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში სიტუაცია გამოსწორდეს. იმ შემთხვევაში თუ შეცდომა ვერ გამოსწორდება მითითებულ დროში, მაშინ მეორე მხარე მიმართავს ქვემოთ ჩამოთვლის ქმედებების/პროცედურებს.

11.2 მხარეები არ დაიშურებენ ძალისხმევას, რათა მშვიდობიანად მოაგვარონ სადავო საკითხი, დავა და მოთხოვნა, რომელიც წამოიჭრება უშმ-ის შესრულებისას, ან მისგან გამოწვეული დარღვევა, დასრულება ან გაუქმება (იურიდიული ძალის წართმევა). როგორც კი მშვიდობიანი გადაწყვეტილების მოსურნე მხარეები *მუდმოვმოქმედი სასამართლო საარბიტრო შემათანხმებელი უფლებების* (წესების) მიხედვით შეთანხმდებიან, ამის შემდეგ მიიღებენ მხარეების გადაწყვეტილებას.

11.3 უშმ-ის ფარგლებში წამოჭრილი მოთხოვნა ან დავა, არ განიხილება მხარეების სადავო საკითხად იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ტიპის მოთხოვნა და საკამათო საკითხი, დანაკარგის, ზარალის ან დაზიანების შესახებ, წერილობითი ფორმით არ იქნა წარდგენილი ორი წლის განმავლობაში უშმ-ის ვადის გასვლის ან დასრულებამდე.

პარაგრაფი 12. მოქმედების დრო

12.1 ეს უშმ-ი ძალაში შევა ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შემდეგ და პროექტის განხორციელება დაიწყება 2013 წლის 15 აგვისტოს.

12.2 უშმ-ი ძალაში რჩება პროექტის განხორციელების დაწყების თარიღიდან (15 აგვისტო 2013) 24 თვის განმავლობაში, დანართი „ა“ მიხედვით, იმ შემთხვევის გამოკლებით თუ არ ამოქმედდა ვადამდე ადრე დასრულების პარაგრაფი 9-ით გათვალისწინებული შესაძლებლობები.

პარაგრაფი 13. ცვლილებები

13.1 წარმოდგენილი უშმ-ი ან მისი დანართი შეიძლება შეიცვალოს ან შესწორდეს მხოლოდ ორივე მხარის (გაეროს კსრკი და დკსჯეც-ი) წერილობითი თანხმობის შესაბამისად.

14. გაეროს პრივილეგიები და ხელშეუხებლობა

14.1 წარმოდგენილი უშმ-ისთან დაკავშირებული არანაირი, აშკარა ან დაფარული ქმედება არ ჩაითვლება გაეროს პრივილეგიად ან ხელშეუხებლობად, სუბსიდიური ორგანოების ჩათვლით.

15. სხვადასხვა გარემოებები

15.1 არანაირი სარგებელი და პასუხისმგებლობა არ იქნება მიღებული მესამე მხარის მიერ წინასწარარსებული წერილობითი თანხმობის გარეშე ორივე მხარისგან (გაეროს კსრკი და დკსჯეც-ი).

15.2 გაეროს კსრკი და დკსჯეც-ი თანხმდებიან, რომ პროექტის განხორციელებისას შეძენილი ყველა ტექნიკური და სხვა სახის ცოდნა კონფიდენციალურად შეინახება, იმის აღიარებით, რომ ორივეს, გაეროს კსრკი და დკსჯეც-ს, შეუძლია გამოიყენოს ეს ცოდნა თავისი აქტივობის ფარგლებში. ეს ვალდებულება არ არის დროში შეზღუდული, და გაგრძელდება უშმ-ის დასრულების შემდეგ.

15.3 უშმ-ში გათვალისწინებული შეტყობინებები მოხდება რეგისტრირებული ფოსტით, ფაქსით დადასტურებული ფოსტის მიერ. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებები, ასევე შეიძლება ჩაითვალოს სწორად, მხოლოდ გამგზავნმა უნდა მიიღოს გამაფრთხილებელი ზომები, იმისათვის რომ შეტყობინება გარანტირებულად მივიდეს მიმღებამდე.

იმის დასტურად, რომ ქვემოთ ხელისმომწერებმა, გაეროს კსრკი-სა და დკსჯეც-ის სახელით, ხელი მოაწერეს წარმოდგენილ უშმ-ს (ორი დედანი) ქვემოთ მოყვანილია ადგილი, მისამართი და თარიღი:

გაეროს კსრკი-ს მხრიდან	დკსჯეც-ის მხრიდან
ხელმოწერა:	ხელმოწერა:
სახელი:	სახელი:
თანამდებობა:	თანამდებობა:
ადგილი:	ადგილი:
თარიღი:	თარიღი:

დანართი „ა“ – პროექტის სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი (მიზმული)

